



## დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება



განკარგულება:გ-109. 109223605

თარიღი:26/12/2022

### დმანისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13-ე მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა (თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



დმანისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმა

2023-2027 წწ.

დმანისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმა შემუშავებულია დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.



## შინაარსი

- 1.1 ხუთწლიანი გეგმის სამართლებრივი ჩარჩო
- 1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები
  - 1.2 დმანისის მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები
  - 1.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები
  - 1.4 გამოყენებული მეთოდოლოგია და დაგეგმვის პროცესის აღწერა
- 2 მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება
  - 2.1 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები
  - 2.2 ნარჩენების რაოდენობა
  - 2.3 ნარჩენების პროგნოზირება
  - 2.4 ნარჩენების პროგნოზირება
  - 2.5 ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი
- 3 მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემის მიმოხილვა
  - 3.1 არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა
  - 3.2 შეგროვების და ტრანსპორტირების მომსახურება
  - 3.3 შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები.
  - 3.4 ქუჩების დასუფთავება.
  - 3.5 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები
  - 3.6 აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)
  - 3.7 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება
  - 3.8 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები
- 4 დმანისის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის SWOT ანალიზი
- 5 მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის ხედვა და მიზნები.
  - პრობლემების იდენტიფიკაცია
  - ხედვა და მიზნები
  - მუნიციპალური ღონისძიებებისა და პროცესების პრიორიტეტულობის განსაზღვრა
- 5.1 დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის შეფასების ინდიკატორები

### სამოქმედო გეგმები

#### გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები

EU ევროკავშირი

GHG სათბურის აირი

MW მუნიციპალური ნარჩენები

MWM მუნიციპალური ნარჩენების მართვა



NGO არასამთავრობო ორგანიზაცია

SMART სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური, დროზე ორიენტირებული

SWOT ძლიერი და სუსტი ფაქტორების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

WM ნარჩენები მართვა

## ტერმინების განმარტება

**ნარჩენები** - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

**საყოფაცხოვრებო ნარჩენები** - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები. **მუნიციპალური ნარჩენები** - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავისი მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია.

**ბიოდეგრადირებადი ნარჩენები** - ნებისმიერი სახის ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარებიან ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბაღების/პარკების ნარჩენები, ქაღალდი და მუყაო.

**სახიფათო ნარჩენები** - ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ან პოტენციურად მავნე ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის (სახიფათო ნარჩენების სია მოცემულია საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მესამე დანართში).

**სამედიცინო ნარჩენები** - ნებისმიერი ნარჩენი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ არის წარმოქმნილი.

**ცხოველური ნარჩენები** - ცხოველებთან დაკავშირებული ნარჩენები (ცხოველების სხეულები, ცხოველების სხეულის ნაწილები, ნაკელი, ხორცის წარმოების ნარჩენები, ცხოველებზე ცდების ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და სხვ.).

**პრევენცია** - ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს: ა) ნარჩენების რაოდენობას, (მაგალითად,

პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით); ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე; გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

**ხელახალი გამოყენება** - პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება ნარჩენად გადაქცევამდე, მათი თავდაპირველი დანიშნულებით.

**აღდგენა** - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისათვის, იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს ენერჯის აღდგენას და რეციკლირებას. (აღდგენის ოპერაციების სია მოცემულია საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” პირველ დანართში).

**რეციკლირება** - აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენები გარდაიქმნება პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია თავდაპირველი ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის.

**რეციკლირებადი მასალები** - გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია მინა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი, პლასტიკი, ქსოვილი, საკვების ნარჩენები, ბალის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

**ნარჩენების შეგროვება** - ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

**სეპარირებული შეგროვება** - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

**ნარჩენების ტრანსპორტირება** - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე; **ნარჩენების გადამტვირთი სადგური** - ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

**სანიტარიული ნაგავსაყრელი** - მუნიციპალური ნარჩენების კონტროლირებადი განთავსება მიწაში, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ პოტენციურ ნეგატიურ ემისიებს ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ნიადაგში ან ჰაერში.

**დანაგვიანება** - ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მიტოვება, გარდა ამ მიზნისთვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა. **დაინტერესებული მხარე** - პირი, ჯგუფი, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი გააჩნია ქმედებასთან ან პროექტთან ან რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა დადებითი ან ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქმედებაზე ან პროექტზე.

**გადახდის მზაობა** - მაქსიმალური საფასური, რომელიც პირმა შეიძლება გაიღოს კარგი შედეგის შესაძენად ან არასასურველი შედეგის თავიდან ასარიდებლად.

## 1.1 ხუთწლიანი გეგმის სამართლებრივი ჩარჩო

წინამდებარე გეგმის შედგენას საფუძვლად დაედო კანონები, საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები, რომლებიც უშუალოდ ეხება საქართველოში ნარჩენების მართვის საკითხებს,

კერძოდ:

- ნარჩენების მართვის კოდექსი ;
- ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030 წწ.);
- ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2023-2027წწ.);



- ტექნიკური რეგლამენტი „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“
- ტექნიკური რეგლამენტი „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების“ შესახებ:

### 1,2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროს არეგულირებს ისეთი საკანონმდებლო აქტები, როგორცაა:

- საქართველოს კონსტიტუცია,
- ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030 წწ.)
- ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2023-2027წწ.)
- საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“,
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“

#### ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებები:

- „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი ( დადგენილება №159, 01.04.2016) ;
- „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ (დადგენილება №145, 20.03.2016) ;
- „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ (დადგენილება №144, 29.03.2016) ;
- ტექნიკური რეგლამენტი „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №143, 29.03.2016).

საქართველოს კონსტიტუციის 29 მუხლით დეკლარირებულია, რომ ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

## „ნარჩენების მართვის კოდექსი“

2015 წლის 12 იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი”, რომლის მიზანია სამართლებრივი და მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და ხელახალ გამოყენებას, აგრეთვე ნარჩენების დამუშავებას გარემოსთვის უსაფრთხო გზით, მათ შორის – შეგროვებას, ტრანსპორტირებას, აღდგენას (რეციკლირება, კომპოსტირება და ა.შ.) და განთავსებას. კანონის ამოცანაა: 1) ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა ნარჩენების წარმოქმნის და მისი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა ან შემცირების გზით; 2) ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა; და 3) იმ რესურსების ეფექტიანი მოხმარების წახალისება, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნას მუნიციპალური ნარჩენების უკეთ მართვის შედეგად.

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ საქართველომ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმული ასოცირების ხელშეკრულებით (რომელსაც 2014 წლის ივნისში მოეწერა ხელი) იკისრა ვალდებულება ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მოიყვანოს ქვეყანაში მოქმედი ნარჩენების მართვის პრაქტიკა.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად განსაზღვრულია მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის პროცესში, კერძოდ, ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების გამოცალკევებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს აღდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებული იქნას და დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად შესაძლო დონით გამორიცხავს გარემოს დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებით „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ (დადგენილება #159, 01.04.2016).

.... მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება;
- ბ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების ტრანსპორტირება დამუშავებისა და განთავსების ობიექტებზე, სადაც ნებადართულია ამგვარი ნარჩენების მიღება;
- გ) მუნიციპალური ნარჩენების დამუშავების ხელშეწყობა;
- დ) მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.



*წყარო: მუხლი 5. მუნიციპალიტეტის უფლებები და ვალდებულებები.*

*მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ.*

*ტექნიკური რეგლამენტი.*

ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრულია, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველი გეგმები, რომლებიც გამიზნული უნდა იყოს მუნიციპალიტეტების ფუნქციების გაუმჯობესებაზე ნარჩენების მართვის სფეროში. აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას და “ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. კანონის შესაბამისად მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 5–წლიანი პერიოდით, და უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად, მუნიციპალიტეტებს უნარჩუნდებათ მხოლოდ ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებებისა და აღდგენის პროგრამების განხორციელების ვალდებულებები.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის გამოკლებით) რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო კომპანია – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2014 საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის 2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება მყარი ნარჩენების მართვა.

### **საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია**

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად. სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროკავშირის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან. სტრატეგიის განხორციელების მიზნით შემუშავებულია ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს ნარჩენების მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილებია. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები დაკავშირებულია სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან.

საქართველოს ნარჩენების მართვის პირველი ეროვნული სტრატეგის მოიცავს 15 წლიან პერიოდს (2016-2030 წწ.).



სტრატეგიის შესაბამისად საქართველოში ნარჩენების მართვის ხედვაა: „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“, რაც მიიღწევა:

- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარებით
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვით
- ხარჯების სრული ამოღების დანერგვით
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვით
- ინიციატივების განხორციელებით სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბებით
- სტრატეგიის მიზნების მისაღწევად საჭირო წამახალისებელი მექანიზმების დანერგვით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სტრატეგიის მიერ განსაზღვრული ამოცანა, რომლის შესაბამისად ყველა მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმების შემუშავება და დამტკიცება.

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და დანერგვის მიმართულებით ეროვნული სტრატეგიაში დასახულია ნარჩენების შეგროვების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

	2023 წლის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
მუნიციპალური ნარჩენები	78%	95%	100%
სახიფათო ნარჩენები	60%	80%	100%

სტრატეგია ითვალისწინებს შესაძლებლობების ფარგლებში ნარჩენების პრევენციას, ხელახალ გამოყენებას, რეციკლირებას ან/და აღდგენას. ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ამ მიზნის მისაღწევად წარმოადგენს ქაღალდის, პლასტიკის, მინისა და მეტალის წარმოშობისწყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2025 წლისთვის (ამოცანა 5.1.).

დასახულია რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების ეტაპობრივი მიღწევა:

	2025წ	2030წ.
ქაღალდი	50%	80 %
მინა	50%	80 %
მეტალი	80%	90 %
პლასტიკი	50%	80 %

ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საჯარო სექტორის, კერძო კომპანიებისა და საზოგადოების შესაძლებლობათა გაძლიერების ხელშეწყობას ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. სტრატეგია ისახავს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობათა გაუმჯობესებას და საზოგადოების ცნობიერების გაუმჯობესებას ნარჩენების მართვის საკითხებზე

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტებს მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროცესში.

მუხლი 13. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

1. თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შესაძლოა შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად.

2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ გეგმას და ამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ სხვა გეგმებს.

3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიღებამდე უნდა გაიმართოს საჯარო განხილვები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული პირები და მოსაზღვრე მუნიციპალიტეტები. საჯარო განხილვები უნდა მოაწყოს შესაბამისმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა.

4. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ;

ბ) მონაცემებს შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;

გ) მონაცემებს მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;

დ) ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობას;

ე) ინფორმაციას მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ვ) ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;

ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;

თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის არსებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს;

ი) გეგმით გათალისწინებულ ღონისძიებების განხორციელების გზებს და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს.

წყარო: საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი”.

## 1.2. დმანისის მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ქალაქი დმანისი დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში ქვემო ქართლის რეგიონში.

მდებარეობა დმანისის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს და ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის. მუნიციპალიტეტს თეთრიწყაროს, წალკის, ბოლნისის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები და სომხეთის რესპუბლიკა ესაზღვრება.



მუნიციპალიტეტის ცენტრი – დმანისი თბილისიდან დაშორებულია 102 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან – 116 კმ-ით, უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთი) – 30 კმ-ით. მანძილი უახლოეს საბაჟომდე 38 კმ-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 1 198.8 კმ<sup>2</sup> და ზღვის დონიდან საშუალოდ 1 250 მეტრზეა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 58 დასახლებული პუნქტია, რომლებიც გაერთიანებულია 16 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში

ისტორია მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი თეატრი, ერთი კულტურის სახლი, სამი ბიბლიოთეკა, რვა დიდი სტადიონი და 15 მცირე ზომის მინი სტადიონი ასევე ფუნქციონირებს სკვერები (16 სკვერი) . ყოველწლიურად იგეგმება და ტარდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება.

მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 163-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი. არსებული ბუნებრივი პირობები, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევები, ულამაზესი ხეობები, ისტორიულ არქეოლოგიური მონაპოვარი მიმზიდველ გარემოს ქმნის ტურისტებისა და დამსვენებლებისთვის და, შესაბამისად, კარგ საფუძველს წარმოადგენს ეკოლოგიური, სამონადირო და სათევზაო, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის. აღნიშნული ტიპის ტურისტული მეურნეობების ფუნქციონირება მთელი წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი, განსაკუთრებით კი მაისი-ოქტომბრის პერიოდში დაიტვირთება.

დმანისის ნაქალაქარი ზღვის დონიდან 900 მეტრზე მდებარეობს, აღმოჩენილია უძველესი ჰუმანოიდები "ზეზვა და მზია", რაც საუკუნის აღმოჩენად არის მიჩნეული და იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა სიაშია შეტანილი. ის კონკურენტუნარიანი კულტურული ტურიზმის ერთერთი სავიზიტო ბარათია დმანისისა და მთელი საქართველოსთვის.

**კლიმატი** - დმანისის მუნიციპალიტეტში ჰავა ზომიერად ნოტიოა, ცივი ზამთარით და თბილი ზაფხულით, იანვარში ჰაერის საშუალო ტემპერატურაა -10 \_ -20<sup>0</sup>c, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -15 \_ -25<sup>0</sup>c-ია , ზოგჯერ -30<sup>0</sup>c-მდე ეცემა (მთებში). თოვლის საფარის ხანგრძლივობა 2-5 თვემდე გრძელდება, ნიადაგის გაყინვა, საშუალოდ, 20-30 სმ-ზე აღინიშნება.

ზაფხულის აბსოლუტური ტემპერატურა +38<sup>0</sup>c-ს აღწევს (აღმოსავლეთ ნაწილში). ივლისის საშუალო ტემპერატურაა +15\_ +30<sup>0</sup>c. ამ ტერიტორიის განსაკუთრებული მახასიათებელი არის გვალვა. გვალვიანი დღეების საერთო რაოდენობა 65-ს აღწევს. ზაფხულის საშუალო ტემპერატურაა თვეში +20<sup>0</sup>c.

ნალექების რაოდენობა წელიწადში 650-800 მმ-ს შეადგენს. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მაისის თვეში მოდის, მინიმალური \_ დეკემბერში. ზაფხულის თვეებში ხშირია კოკისპირული წვიმა და ელჭექი, რომელსაც ხშირად თან სეტყვა ახლავს.

ზომიერი კლიმატის გამო, შესაძლებელია, რომ წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შეიქმნას ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც მაღალი კვებითი ღირებულებით, დაავადებების მიმართ მდგრადობით გამოირჩევა და გაზაფხულამდე ინახება.

## ნიადაგი

დმანისის მუნიციპალიტეტში ძირითადად მძიმე შავმიწა ნიადაგებია, ასევე, მუქი ყავისფერი და ნეშომპალა კარბონატული მიწა ჰომუსის 3-5%-იანი შემცველობით. ნიადაგი მდიდარია კალციუმითა და მაგნიუმით, უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს ნატრიუმსა და კალიუმს. ყოველივე ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ იწარმოოს მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქტები, როგორცაა: კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, ლობიო, სიმინდი, ხორბალი და სხვა.

## მოსახლეობა



	ტერიტორიული ერთეული	დასახლების სახელწოდება	პიფსომსიეტმარლულო	2020 წლის	2021წ. კომლი	სტატუსი	მიგრაცია	ასაჭმშუალ
1	გუგუთის ტერიტორიული ერთეული	ლოქჭანდარი	1500	145	75	მაღალმთიანი	32,9	42,7
2	ირგანჩაის ტერიტორიული ერთეული	ირგანჩაი	1650	2150	525	მაღალმთიანი	24,8	32,8
3	კამარლოს ტერიტორიული ერთეული	ქარიანი	1500	121	25	მაღალმთიანი	13,9	30,3
4	იფნარის ტერიტორიული ერთეული	დაგარახლო	1500	350	175	მაღალმთიანი	37,1	35,9
5	კარაბულახის ტერიტორიული ერთეული	მეორე სალამალეიქი	1520	50	11	მაღალმთიანი	67,3	41,3
6	კარაბულახის ტერიტორიული ერთეული	სოგუთლო	1600	50	17	მაღალმთიანი	7,4	48,9
7	კარაბულახის ტერიტორიული ერთეული	მამიშლარი	1630	72	21	მაღალმთიანი	25,5	32,4
8	ამამლოს ტერიტორიული ერთეული	საფარლო	1014	300	161	მაღალმთიანი	55,4	40,3
9	ამამლოს ტერიტორიული ერთეული	მამიშლო	1100	350	160	მაღალმთიანი	63,4	41,5
10	ამამლოს ტერიტორიული ერთეული	ანგრევანი	1130	50	24	მაღალმთიანი	71,0	52,9
11	ამამლოს ტერიტორიული ერთეული	ამამლო	1200	1050	575	მაღალმთიანი	31,1	39,5
12	ამამლოს ტერიტორიული ერთეული	ბაზაქლო	1270	480	274	მაღალმთიანი	30,3	35,9
13	ამამლოს ტერიტორიული ერთეული	ტყისპირი	1380	35	17	მაღალმთიანი	5,7	38,8
14	განთიადის ტერიტორიული ერთეული	განთიადი	1080	570	322	მაღალმთიანი	33,3	44,4
15	განთიადის ტერიტორიული ერთეული	ჯავახი	1080	470	270	მაღალმთიანი	32,6	45
16	გომარეთის ტერიტორიული ერთეული	კაკლიანი (ქართული)	1330	4	2	მაღალმთიანი	0,0	
17	გომარეთის ტერიტორიული ერთეული	გომარეთი	1380	650	352	მაღალმთიანი	39,1	47,7
18	გომარეთის ტერიტორიული ერთეული	მამულო	1430	76	35	მაღალმთიანი	36,3	59,9



19	გუგუთის ტერიტორიული ერთეული	გუგუთი	1380	85	45	მალაღმთიანი	28,7	36
20	გუგუთის ტერიტორიული ერთეული	კამიშლო	1440	214	95	მალაღმთიანი	38,3	38,5
21	დიდი დმანისის ტერიტორიული ერთეული	ბოსლები	1020	409	281	მალაღმთიანი	40,5	44,3
22	დმანისის ტერიტორიული ერთეული	შინდლარი	1250	180	113	მალაღმთიანი	35,3	41,5
23	კამარლოს ტერიტორიული ერთეული	შახმარლო	1400	400	121	მალაღმთიანი	32,3	38,7
24	კამარლოს ტერიტორიული ერთეული	კამარლო	1410	790	260	მალაღმთიანი	6,7	36,5
25	იფნარის ტერიტორიული ერთეული	ბახჩალარი	1220	75	45	მალაღმთიანი	53,0	42,8
26	იფნარის ტერიტორიული ერთეული	საჯა	1220	27	11	მალაღმთიანი	59,4	33,2
27	იფნარის ტერიტორიული ერთეული	კიზილაჯლო	1260	184	106	მალაღმთიანი	46,0	40,8
28	იფნარის ტერიტორიული ერთეული	იფნარი	1290	180	129	მალაღმთიანი	43,5	40
29	იფნარის ტერიტორიული ერთეული	ორმაშენი	1320	75	32	მალაღმთიანი	57,3	43,4
30	მაშავერას ტერიტორიული ერთეული	უკანგორა	960	5	3	მალაღმთიანი	80,0	
31	საკირეს ტერიტორიული ერთეული	საკირე	1310	35	19	მალაღმთიანი	6,1	41,7
32	საკირეს ტერიტორიული ერთეული	გორა	1350	20	12	მალაღმთიანი	71,1	70,4
33	სარკინეთის ტერიტორიული ერთეული	სარკინეთი	1360	69	45	მალაღმთიანი	-52,4	33,9
34	ოროზმანის ტერიტორიული ერთეული	დალარი	1150	238	120	მალაღმთიანი	43,1	40,6
35	ოროზმანის ტერიტორიული ერთეული	ქვემო ოროზმანი	1230	305	251	მალაღმთიანი	45,3	40,9
36	ოროზმანის ტერიტორიული ერთეული	მთისძირი	1360	214	84	მალაღმთიანი	12,8	31,6
37	კარაბულახის ტერიტორიული ერთეული	ქვემო კარაბულახი	1300	212	121	მალაღმთიანი	41,1	38,4
38	კარაბულახის ტერიტორიული ერთეული	ახა	1310	44	33	მალაღმთიანი	49,5	57,1
39	კარაბულახის ტერიტორიული	უსეინქენდი	1380	50	35	მალაღმთიანი	54,1	36,6

	ერთეული							
40	კარაბულახის ტერიტორიული ერთეული	ძველი გოდაგდაგი	1420	50	27	მაღალმთიანი	79,6	37, 1
41	კარაბულახის ტერიტორიული ერთეული	პირველი სალამალეიქი	1470	57	18	მაღალმთიანი	-38,8	30, 2
42	კიზილქილისის ტერიტორიული ერთეული	კაკლიანი (აზერბაიჯანული)	1080	314	169	მაღალმთიანი	49,8	41, 4
43	კიზილქილისის ტერიტორიული ერთეული	კიზილქილისა	1230	312	97	მაღალმთიანი	70,3	45, 1
44	ოროზმანის ადმინისტრაციული ერთეული	ზემო ოროზმანი	1310	660	306	მაღალმთიანი	30,7	37
45	ოროზმანის ადმინისტრაციული ერთეული	ვაკე	1230	278	112	მაღალმთიანი	24,6	31, 3
46	სარკინეთის ადმინისტრაციული ერთეული	ველისპირი	1330	75	50	მაღალმთიანი	-26,6	42, 4
47	ქ. დმანისის ადმინისტრაციული ერთეული	დმანისი	1240	2670	1210	მაღალმთიანი	22,4	37, 3
48	განთიადის ადმინისტრაციული ერთეული	ტნუსი	1000	108	142	მაღალმთიანი	11,9	36, 5
49	გომარეთის ადმინისტრაციული ერთეული	ქცია	820	71	24	მაღალმთიანი	12,7	37, 8
50	დიდი დმანისის ადმინისტრაციული ერთეული	დიდი დმანისი	870	605	375	მაღალმთიანი	25,4	40, 7
51	დიდი დმანისის ადმინისტრაციული ერთეული	პატარა დმანისი	860	97	42	მაღალმთიანი	31,4	47, 8
52	დიდი დმანისის ადმინისტრაციული ერთეული	ვარდისუბანი	860	274	166	მაღალმთიანი	13,4	41, 6
53	დმანისის თემის ადმინისტრაციული ერთეული	იაღუფლო	1360	311	200	მაღალმთიანი	4,0	33, 6
54	მაშავერის ადმინისტრაციული ერთეული	მაშავერა	880	606	447	მაღალმთიანი	24,9	44, 3
55	სარკინეთის ადმინისტრაციული ერთეული	განახლება	1340	102	37	მაღალმთიანი	242,4	- 36, 8



56	კარაბულახის ადმინისტრაციული ერთეული	ზემო კარაბულახი	1320	1450	400	მაღალმთიანი	21,8	34 , 5
57	კარაბულახის ადმინისტრაციული ერთეული	ახალი გოდაგდაგი	1400	180	90	მაღალმთიანი	39,1	36 , 5
58	დმანისის ტერიტორიული	პანტიანი	1320	262	141	მაღალმთიანი	10,7	34 , 7

### მუნიციპალიტეტის ეკონომიკური საქმიანობა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა.

#### 1.სოფლის მეურნეობა

2007 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მიწის მთლიანი ფონდი შეადგენს 119 880 ჰექტარს (იხ. დანართი #2). აქედან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს უჭირავს 29 287.05 ჰა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწებს \_ 84 985 ჰა. გამოუყენებელი ფართობი კი 5 607,95 ჰა-ს შეადგენს.

#### 2.მემცენარეობა

დმანისის მუნიციპალიტეტში ფართოდ არის გავრცელებული მემცენარეობა. პრიორიტეტული კულტურებია: სიმინდი, ხორბალი, ლობიო, კარტოფოლი ( 24ტ/ჰა), ბოლო 10 წლის განმავლობაში მათი მოსავლიანობა არ შეცვლილა.

#### 3.მეცხოველეობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მესაქონლეობა, სადაც მოსახლეობის 60%-ია დასაქმებული. სულ მუნიციპალიტეტში 27 000 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია აღრიცხული, ძირითადად, ადგილობრივი და კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხები, რომელთა პროდუქტიულობა ლაქტაციის პერიოდში 800\_1200 ლიტრი რძეა.

#### 4.ეკონომიკა

დარგებსა და სფეროებს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით ვაჭრობა, სასაწყობე მეურნეობა და რემონტი გამოირჩევა და მისი წილი 94.3 პროცენტს შეადგენს, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი 2.4 პროცენტია, ხოლო სხვა დარგებისა და სფეროების წილები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჯამში 3.3 პროცენტს შეადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ მონაცემებში ბევრი მაჩვენებელი არ არის დაფიქსირებული, მათ შორის შინამეურნეობების საქმიანობა, ამიტომ აღნიშნული მონაცემები მაინც სავარაუდოა.

### 1.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

დმანისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვის იმ ვალდებულებებს, რომელიც განსაზღვრულია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიერ. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა მიმართულია ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე, როგორიცაა:

- საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება “ნარჩენების მართვის კოდექსით” გათვალისწინებული ეფექტიანი ადგილობრივი პროგრამების, პროცესებისა და ობიექტების შექმნის თვალსაზრისით;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკების მინიმიზაცია;
- გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არსებული სისტემასთან;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოება, რათა მოცული იქნას მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა;
- ეკონომიკური სარგებლის მიღება, ისეთი ღონისძიებების დანერგვით, როგორიცაა ნარჩენების კომპოსტირება და რეციკლირება.

### 1.4 გამოყენებული მეთოდოლოგია და დაგეგმვის პროცესის აღწერა

#### ა. გამოყენებული მეთოდოლოგია.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებისათვის გამოყენებული იქნა მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებული იქნა პროექტის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“<sup>1</sup> ფარგლებში და რეკომენდებულია საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის. გამოყენებული იქნა ევროკავშირის მიდგომები<sup>1</sup>, ასევე საქართველოსა გამოცდილება.

პროექტის განხორციელებაში ჩართულმა ორგანიზაციებმა და უშუალო შემსრულებლებმა ექსპერტებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს ნარჩენების მართვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის საკითხების განხილვასა და ამ მიმართულებით საერთო ხედვის ჩამოყალიბებას.

ამდენად, ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესი შედგებოდა შემდეგი ძირითადი ფაზებისაგან:

#### 1. დაგეგმვის მოსაზრადებელი ფაზა:

- ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობის შესწავლა პროექტის გუნდის მიერ;

<sup>1</sup>. არსებული მდგომარეობის განსაზღვრა და შიდასიხა:



- გეგმის შემუშავებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის განხილვა, რესურსების გამოკვეთა და უზრუნველყოფა;
- შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პროცესში ჩართვა;
- ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროცესის მიზნებისა და სამიზნე შედეგების განსაზღვრა;
- მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნასა და მართვაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების განსაზღვრა.
- განისაზღვრა ნარჩენების ის ნაკადები, რომელთა მართვა ხდება მუნიციპალიტეტის მიერ;
- ნარჩენების მართვის არსებული სერვისის დახასიათება და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მთლიანი ხარჯის განსაზღვრა;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულების შესწავლა. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარება და პრობლემების იდენტიფიცირება მათ მიერ;
- არსებული ან დაგეგმილი ეროვნული და რეგიონული პროგრამების ან ინფრასტრუქტურის განსაზღვრა, რომელიც გავლენას მოახდენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიდგომაზე.

### 3. ალტერნატივების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება:

- ნარჩენების მართვის პრიორიტეტების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის მომდევნო 5 წლისათვის;
- ნარჩენების გენერირების პროგნოზირება;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის დაფარვის არეალისა და ეფექტიანობის გაზრდის ალტერნატიული გზების განსაზღვრა;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების გადამუშავებისა და აღდგენის გზების/საშუალებების განსაზღვრა;
- საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების განათლებისა და ნარჩენების მართვაში ჩართულობის ამაღლების ეფექტიანი გეგმის შემუშავება.

### 4. გეგმის შემუშავება და მიღება:

- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დოკუმენტის შემუშავება;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის საჯარო განხილვა;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხილვა საკრებულოში და შესაბამისი განკარგულების მიღება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა სტრატეგიის შემუშავების ყველა ეტაპში, სამუშაო შეხვედრებსა და განხილვებში ჩართულობა.

## ბ. გეგმის ჩარჩო


დმანისის ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის, ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2023-2027 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად და მოიცავს 2023- 2027 წლებს. გეგმაში განსაზღვრულია ძირითადი საქმიანობები ქალაქ დმანისისა და დმანისის მუნიციპალიტეტისათვის მომდევნო ხუთწლიანი პერიოდისათვის, როგორც ეს დადგენილია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიერ.

დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:

- ქ. დმანისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – ქ. დმანისი) ;
- ამამლოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: ამამლო, ანგრევანი, ბაზაქლო, მამიშლო, საფარლო, ტყისპირი)) ;
- განთიადის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: განთიადი, ჯავახი, ტნუსი)) ;
- გომარეთის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: გომარეთი, მამულო, კაკლიანი (ქართული), ქცია)) ;“.
- გუგუთის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია (სოფლები: გუგუთი, კამიშლო, ლოქჭანდარი)).
- დიდი დმანისის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: დიდი დმანისი, ბოსლები, ვარდისუბანი, პატარა დმანისი)) ;
- დმანისის თემის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: იაღუფლო, შინდლარი, პანტიანი)).
- ირგანჩაის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ირგანჩაი) ;
- იფნარის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია (სოფლები: იფნარი, დაგარახლო, კიზილაჯლო, ორმაშენი, ბახჩალარი, საჯა)) ;
- კამარლოს ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: კამარლო, შახმარლო, ქარიანი)) ;
- კარაბულახის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: ზემო კარაბულახი, ახა, ქვემო კარაბულახი, ძველი გოდაგდაგი, ახალი გოდაგდაგი, მამიშლარი, პირველი სალამალეიქი, მეორე სალამალეიქი, სოგუთლო, უსეინქენდი)) ;
- კიზილქილისის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: კიზილქილისა, კაკლიანი (აზერბაიჯანული)) ;
- მაშავერის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: მაშავერა, უკანგორა)) ;



- ოროზმანის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: ზემო ოროზმანი, ქვემო ოროზმანი, დალარი, ვაკე, მთისძირი)) ;
- საკირეს ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: საკირე, გორა)) ;
- სარკინეთის ადმინისტრაციული ერთეული, (სამოქმედო ტერიტორია, (სოფლები: სარკინეთი, ველისპირი, განახლება)).



გ. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ჩართულობის უზრუნველყოფა მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროცესში აქტიურად იყვენენ ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ააიპ დმანისის სერვის ჯგუფის წარმომადგენლები.

დაინტერესებულ მხარეთა აქტიურმა მონაწილეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სწორ დაგეგმვასა და განსახორციელებელი საქმიანობების განსაზღვრას.

დ. საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია და მონაწილეობის პროცესი

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობას. კერძოდ, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და ინფორმირების უზრუნველსაყოფად მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან. შეხვედრების დროს გამოიკვეთა მრავალი პრობლემა, რომელიც აქტუალურია დმანისის ნარჩენების მართვის სფეროში. სულ დასახელებული იქნა მრავალი სხვადასხვა პრობლემა, რომელიც პირდაპირ მიმართებაშია ნარჩენების მართვასთან დმანისში.

## 2. მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

### 2.1 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

წარმოდგენილი გეგმა მიმოხილავს მუნიციპალურ არასახიფათო ნარჩენებს, რომელთა წარმოქმნის წყაროებს მიეკუთვნება:

- საოჯახო მეურნეობები. კერძოდ, კერძო სახლებსა და მრავალსართულიან შენობებში მცხოვრები ოჯახები;
- წარმოება-დაწესებულებები;
- სასწავლო დაწესებულებები (სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებები);
- მომსახურების სფერო (სავაჭრო და კვების ობიექტები); □ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სხვა ანალოგიური დანიშნულების ორგანიზაციები.

ქალაქის ტერიტორიაზე ასევე წარმოიქმნება ინერტული ნარჩენები, ძირითადად, სამშენებლო ნარჩენები. ამ ეტაპზე დმანისის მუნიციპალიტეტი მუშაობს მყარი ნარჩენების განსათავსებლად ტერიტორიის გამოყოფაზე ( ტერიტორიის საკადასტრო კოდი 82,18.42.127

### 2.2 ნარჩენების რაოდენობა

2022 წელს დმანისის მუნიციპალიტეტიდან შეგროვებული და ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 6525 მ<sup>3</sup> ნარჩენი.

### 2.3. ნარჩენების პროგნოზირება

დმანისის მუნიციპალიტეტში ნარჩენების წარმოქმნის პროგნოზის მიხედვით, 2026 წლისთვის მოსალოდნელია, რომ ნარჩენების წარმოქმნა ქ. დმანისში შეადგენს - 5მ<sup>3</sup> დღეში, ხოლო დმანისის მუნიციპალიტეტისათვის - 9 მ<sup>3</sup> დღეში.<sup>3</sup>

### 2.4. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

უნდა აღინიშნოს, რომ დმანისში წარმოქმნილი ნარჩენების შედგენილობის შესწავლა



და მუდმივი დაკვირვება არ ხორციელდება. ამდენად, საქართველოს სხვა ქალაქებისათვის ჩატარებული კვლევების შედეგების გამოყენებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ დმანისში წარმოქმნილი ნარჩენებიდან, უმეტესი წილი მოდის ორგანულ ნარჩენებზე სხვა სახის ნარჩენებიდან, აღსანიშნავია პლასტმასის ნარჩენების, მაკულატურის, ლითონისა და მინის შემცველობა.

